

## **ფინანსური ინსტრუმენტები**

### **მოქმედების სფერო**

5.1 წინამდებარე განყოფილება ეხება ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სააღ-რიცხვო მიღების, რომლის მონაშილე მხარეც არის საჭარმო, გარდა:

- (ა) ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აკმაყოფილებს საჭარმოს საკუთარი კაპიტალის განმარტებას (იხ. მე-12 განყოფილება - „საკუ-თარ კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები მესაკუთრეებთან“);
- (ბ) იჯარისა, რომელზეც ვრცელდება მე-10 განყოფილება („იჯარა“). თუმცა, 5.18–5.19 პუნქტების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასევე ეხება მეიჯარის მიერ აღიარებული საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტასაც, ხოლო 5.14–5.15 პუნქტების მოთხოვნები გაუფასურების შესახებ – მეიჯარის მიერ აღიარებულ საიჯარო მოთხოვნებსაც;
- (გ) ფინანსური გარანტის ხელშეკრულებებისა, რომლებზეც ვრცელდება მე-11 განყოფილება – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.

5.2 ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საჭარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე სა-ჭარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტი წარმოიშობა სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობებისგან. ხელშეკრულება არის ნებისმიერი შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელსაც:

- ეკონომიკური შინაარსი აქვს; და
- მხარეებს თავიანთი მოვალეობის თავიდან აცილების შესაძლებლობა არ გააჩნიათ, ან ამის მცირე შანსი აქვს (რადგან ეს სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით აღსრულებადია).

ხელშეკრულებებს მრავალნაირი ფორმა აქვთ, რომელიც შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი, ან ნაგულისხმევი საჭარმოს ტრადიციული ბიზნეს-პრაქტიკით.

ზეპირი ხელშეკრულებების გავრცელებული მაგალითებია რესტორანში საკვების შეკვეთა და ტაქსის მომსახურების გამოყენება.

თუმცა, ყველა ხელშეკრულება არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს.

როგორც ზემოთ მოცემული 5.2 პუნქტით მოითხოვება, ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების ფარგლებში, უფლებებმა და მოვალეობებმა უნდა წარმოშვას:

- ფინანსური აქტივის წარმოშობა ერთი მხარისთვის; **და**
- ფინანსური ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის წარმოშობა მეორე მხარისთვის.

მაშასადამე, ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში საწარმო საქონლის მომწოდებელს აგანსს უხდის, არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რადგან საწარმოს უფლება აქვს მიიღოს არაფინანსური აქტივი (მაგ. მარაგი).

საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოადგენენ ფინანსურ ინსტრუმენტებს. მსგავსი ვალდებულებები არ წარმოიქმნება საწარმოსა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად, ისინი კანონმდებლობის შედეგად წარმოიქმნება. ანალოგიურად, არც საგადასახადო ჭარიმა და საურავი არ არის ფინანსური ინსტრუმენტი.

**5.3 ფინანსური აქტივი არის ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: (ა) ფულად სახსრებს; (ბ) სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს; ან (გ) სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებო უფლებას.**

### ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები ერთმნიშვნელოვნად შედის ფინანსური აქტივის განმარტებაში. ფულადი სახსრები მოიცავს უცხოურ ვალუტასაც.

### სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს აქტივებში ნარჩენი წილის მტკიცებულებას, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ (ანუ წილი წმინდა აქტივებში, საკუთრების წილი). საწარმოს მიერ სხვა საწარმოს ფლობა (მიუხედავად საკუთრების წილის ოდენობისა) ფინანსურ აქტივს წარმოადგენს.

### მაგალითი 1- სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი

A საწარმო და B საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებია (შპს), რომლებიც მეოთხე კატეგორიის საწარმოებია.

A საწარმოს **15,000 ლარი** შეაქვს B საწარმოს კაპიტალში, B საწარმოს საკუთრების 60%-იანი წილის სანაცვლოდ.

A საწარმოს ინვესტიცია B საწარმოში წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომელიც A საწარმომ უნდა წარადგინოს თავისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მუხლში - ინვესტიციები სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში.

**ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებო უფლება**

ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებების ტიპური მაგალითებია:

- საბანკო დეპოზიტები;
- სავაჭრო მოთხოვნები; და
- სესხის მოთხოვნები.

**მაგალითი 2- სავაჭრო მოთხოვნები**

**18/12/20X1** წელს A საწარმო 20 ხის სკამს ყიდის B საწარმოზე, თითოეულს 100 ლარად. გარიგების ფასი, **2,000** ლარი, გადასახდელია 30 დღეში (მიჩნეულია, რომ ეს ჩვეულებრივი კრედიტის ვადაა).

**31/12/20X1** წელს (სანგარიშებო თარიღი) A საწარმოს აქცის სახელშეკრულებო უფლება, B საწარმოსგან მიიღოს 2,000 ლარი. ეს უფლება არის ფინანსური აქტივი, რომელიც მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მუხლში - სავაჭრო მოთხოვნები - უნდა იქნეს წარდგენილი.

**მაგალითი 3- თანხის ავანსად გადახდა**

A საწარმო საცხობია.

**31/12/20X1** წელს:

- A საწარმომ B საწარმოსგან შეკვეთა მიიღო 300 პურის მიწოდებაზე **01/01/20X2** წელს, ერთი პური **0.5** ლარად.
- A საწარმო B საწარმოსგან **150** ლარს (**ანუ 0.5 ლარი x 300 პურზე**) იღებს.

**01/01/20X2** წელს A საწარმო აცხობს **300** პურს და B საწარმოს აწვდის.

**31/12/20X1** წელს A საწარმოს არ გააჩნია რაიმე უფლება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღებაზე (და არც მიწოდების მოვალეობა აქვს). შესაბამისად, A საწარმოს არ გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტი.

A საწარმოს მოვალეობაა არაფინანსური აქტივის მიწოდება, რომელიც უნდა აღირიცხოს მე-13 განყოფილების - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - შესაბამისად.

როგორც ჩემოთ მოცემულ მაგალითშია ნაჩვენები, ხელშეკრულება ფინანსურ ინსტრუმენტს რომ წარმოადგენდეს, ფულადი სახსრების ფაქტობრივი გადარიცხვა უფრო გვიან უნდა მოხდეს, მიღების უფლებისა და ფულადი სახსრების გადახდის მოვალეობის წარმოქმნასთან შედარებით. ერთი მხარის მიერ ფულადი სახსრების მიღების უფლება არის მეორე მხარის

სახელშეკრულებო მოვალეობა - გადაიხადოს ფულადი სახსრები. პრაქტიკაში ფინანსური ინსტრუმენტების უმეტესობა ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო მოვალეობებია. თუმცა, ფინანსური აქტივის განმარტება მოიცავს ასევე ხელშეკრულებებს, რომელთა ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ფულადი სახსრებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივით.

**მაგალითი 4- სხვა ფინანსური აქტივის მიღების უფლება**

A საწარმო საქონელს ხშირად კრედიტით ყიდის B საწარმოზე.

**28/12/20X1 წელს B საწარმოს გააჩნია C საწარმოს მიმართ 3,000 ლარის ოდენობის სავაჭრო მოთხოვნები (ფულადი სახსრების მიღების უფლება).**

**28/12/20X1 წელს:**

- A საწარმო საქონელს ყიდის B საწარმოზე **3,000 ლარად**.
- გაყიდვის ამ ოპერაციის ფარგლებში A საწარმო და B საწარმო თანხმდებიან, რომ B საწარმოს მიერ A საწარმოსთვის გასაყიდი ფასის ფულადი სახსრებით გადახდის ნაცვლად B საწარმო თავის მოვალეობას შესარულებს A საწარმოსთვის C საწარმოს მიმართ თავისი სავაჭრო მოთხოვნების (ფულადი სახსრების მიღების უფლება) გადაცემით.

**31/12/20X1 წელს B საწარმოს სავაჭრო მოთხოვნები C საწარმოს მიმართ ჰქონდება არ იყო გადაცემული A საწარმოზე.**

ამიტომ, **31/12/20X1 წელს A საწარმოს უფლება აქვს მიიღოს სხვა ფინანსური აქტივი (3,000 ლარის ოდენობით მოთხოვნები C საწარმოს მიმართ) B საწარმოსგან. ეს უფლება A საწარმოს ფინანსური აქტივია და მან ამ უფლების ღირებულება (3,000 ლარი) უნდა ასახოს თავისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მუხლში - სხვა მოკლევადიანი აქტივები.**

#### 5.4 ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს სხვა მხარისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებას.

##### **ფინანსური აქტივის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება**

ფინანსური აქტივის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულების ტიპური მაგალითებია:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება;
- სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან (მაგალითად, კომერციული ბანკებისგან); და
- სესხები სხვა საწარმოებისგან ან ფიზიკური პირებისგან.

საწარმოები მსგავს ხელშეკრულებებს დებენ ჩვეულებრივი საქმიანობისას, როგორიცაა, მაგალითად, მზა პროდუქციის (ან ნედლეულისა და მასალე-

ბის) შესყიდვა, სხვებისგან მომსახურების მიღება, სესხის მიღება ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან და სხვა.

#### მაგალითი 5- სავაჭრო ვალდებულებები

**18/12/20X1** წელს B საწარმომ ჩვეულებრივი საკრედიტო ვადით (30 დღე) A საწარმოსგან შეიძინა 20 ხის სკამი 2,000 ლარად (ანუ 20 x 100 ლარი).

**51**

**31/12/20X1** წელს (საანგარიშგებო თარიღი) B საწარმოს A საწარმოსთვის 2,000 ლარის გადახდის სახელშეკრულებო მოვალეობა აქვს. ეს 2,000 ლარი ფინანსური ვალდებულებაა, რომელიც მისი ფინანსური მდგომარეობის ან-გარიშგების სავაჭრო ვალდებულებების მუხლში უნდა აისახოს.

ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ფულადი სახსრების გადახდის სახელშეკრულებო მოვალეობებია. თუმცა, ფინანსური ვალდებულების განმარტება მოიცავს ასევე ხელშეკრულებებს, რომელთა ფარგლებში ანგარიშ-სწორება ფინანსური აქტივებით ან ფულადი სახსრებისგან განსხვავებული სხვა აქტივებით ხორციელდება.

ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოქმნის საწარმოს მიერ ფინანსური აქტივის მიწოდების მოვალეობებს, იშვიათად გვხვდება, რადგან თავიანთი არსით ისინი უფრო რთული ოპერაციებია.

#### მაგალითი 6- სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების მოვალეობა

A საწარმო ხშირად ახორციელებს გაყიდვის ოპერაციებს B საწარმოსთან.

B საწარმოს სავაჭრო მოთხოვნები აქვს (უფლება, C საწარმოგან მიიღოს 3,000 ლარი).

**28/12/20X1** წელს A საწარმო 3,000 ლარად ყიდის საქონელს B საწარმოზე. ამ ოპერაციის ფარგლებში A საწარმო და B საწარმო თანხმდებიან, რომ ფულადი სახსრების გადახდის ნაცვლად B საწარმო ანგარიშსწორებას განახორციელებს A საწარმოსთვის C საწარმოსგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნების გადაცემით (ანუ B საწარმოს უფლება, რომ საწარმო C-გან მიიღოს ფულადი სახსრები).

**31/12/20X1** წელს B საწარმოს ჯერ არ გადაუცია A საწარმოსთვის C საწარმოს-გან მისაღები სავაჭრო მოთხოვნა.

ამიტომ, **31/12/20X1** წელს B საწარმოს მოვალეობა, A საწარმოს გადასცეს თავისი ფინანსური აქტივი (3,000 ლარის მოთხოვნა C საწარმოსგან), წარმოადგენს B საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში - სხვა ვალდებულებები - უნდა აისახოს.

## აღიარება

5.5 საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ იგი ხდება მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

**52**

მაგალითი 7- თავდაპირველი აღიარების დრო

**10/12/20X1** წელს B საწარმო ხელშეკრულებას აფორმებს A საწარმოსთან 20 ხის სკამის მიწოდებაზე **2,000** ლარად (ანუ  $20$  სკამი  $\times$  **100** ლარი), რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მიწოდებიდან 30 დღეში (რაც მიიჩნევა ჩვეულებრივ საკრედიტო ვადად).

**18/12/20X1** წელს B საწარმო A საწარმოსგან იღებს 20 ხის სკამს. შესაბამისად:

- A საწარმოს აქვს სახელშეკრულებო უფლება, B საწარმოსგან (30 დღეში) მიიღოს **2,000** ლარის ოდენობით ფულადი სახსრები; და
- B საწარმოს აქვს სახელშეკრულებო მოგალეობა, რომ A საწარმოს (30 დღეში) გადაუხადოს **2,000** ლარი.

ამიტომ, **18/12/20X1** წელს A საწარმომ უნდა აღიაროს ფინანსური აქტივი (სავაჭრო მოთხოვნა), ხოლო B საწარმომ უნდა აღიაროს ფინანსური ვალდებულება (სავაჭრო ვალდებულებები).

## შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

5.6 საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით, ხოლო თვითღირებულება ფასდება გარიგების ფასით, რომელიც არ მოიცავს გარიგების დანახარჯებს.

მაგალითი 8- სავაჭრო მოთხოვნებისა და სავაჭრო ვალდებულებების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

**16/03/20X1** წელს B საწარმო 10 ხის სკამს ყიდულობს A საწარმოსგან **1,500** ლარად (ანუ  $10$  სკამი  $\times$  **150** ლარი), რაც გადასახდელია 30 დღეში (მიიჩნევა ჩვეულებრივ საკრედიტო ვადად).

B საწარმო გეგმავს ამ სკამების გაყიდვას.

როგორ უნდა აღიაროს ფინანსური აქტივი A საწარმომ?

**16/03/20X1** წელს A საწარმო ხდება კრედიტით გაყიდვის ოპერაციის ხელშეკრულების მონაცილე. ამიტომ, მან უნდა აღიაროს საქონლის გაყიდვიდან წმინდა ამონაგები და შესაბამისი ფინანსური აქტივი (სავაჭრო მოთხოვნა). ამ სავაჭრო მოთხოვნის თავდაპირველი თვითღირებულება არის გარიგების ფასი - ანუ თანხა, რომლის მიღების უფლებაც მოიპოვა A საწარმომ.

**16/03/20X1** წელს A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი ბუღალტრული გატარებები:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სავაჭრო მოთხოვნები	1,500	
ნეტო ამონაგები (საქონლის გაყიდვა)		1,500
გაყიდვიდან ამონაგებისა და სავაჭრო მოთხოვნის აღიარება		

53

როგორ უნდა აღიაროს ფინანსური ვალდებულება B საწარმომ?

**16/03/20X1** წელს B საწარმო ამ ოპერაციის ხელშეკრულების მონაწილე მხარე ხდება. შესაბამისად, მან უნდა აღიაროს შესყიდული საქონელი და შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულება (სავაჭრო ვალდებულებები). ამ სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი ღირებულება იქნება ამ გარიგების ფასი - ანუ ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის გადახდის მოგალეობა აქვს B საწარმოს.

**16/03/20X1** წელს B საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი ბუღალტრული გატარებები:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
მარაგები (მზა პროდუქცია)	1,500	
სავაჭრო ვალდებულებები		1,500
მარაგის შესყიდვისა და სავაჭრო ვალდებულებების აღიარება		

მაგალითი 9- სესხის თავდაპირველი აღიარება

**30/09/20X1** წელს A საწარმომ **30,000** ლარის ოდენობით სესხი გასცა B საწარმოზე. სესხი ერთი გადახდით, **36,300** ლარი (ანუ პროცენტი და ძირი თანხა), უნდა დაიფაროს **30/09/20X3** წელს (ე.ი. სესხის ვადა 2 წელია).

A საწარმომ როგორ უნდა განახორციელოს თავისი ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარება?

**30/09/20X1** წელს A საწარმო ხდება სასესხო ხელშეკრულების მონაწილე მხარე. მას უფლება აქვს 2 წელიწადში მიიღოს ძირი თანხა და პროცენტი. ეს უფლება წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და A საწარმომ ის უნდა აღიაროს თავისი ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებში. ამ სესხის მოთხოვნის თავდაპირველი ღირებულება არის იმ ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის მიღების უფლება აქვს A საწარმოს - **30,000** ლარი (**30/09/20X1** წელს A საწარმოს ჰერ არა აქვს პროცენტის მიღების სახელშეკრულებო უფლება, რადგან პროცენტი ჰერ დარიცხული არ არის; სასესხო მოთხოვნის ოდენობა გაიზრდება დროთა განმავლობაში პროცენტის დარიცხვის შედეგად).

**30/09/20X1 წელს A საწარმომ შემდეგი ბუღალტრული გატარებები უნდა შეასრულოს:**

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	30,000	
ფულადი სახსრები		30,000
<i>B საწარმოსთვის მიცემული სესხის აღიარება</i>		

**B საწარმომ როგორ უნდა განახორციელოს თავისი ფინანსური ვალდებულების აღიარება?**

**30/09/20X1 წელს B საწარმო, როდესაც ის 30,000 ლარს იღებს A საწარმოს-გან, ხდება სასესხო ხელშეკრულების მონაწილე მხარე. A საწარმო ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულია 2 წელიწადში გადაიხადოს ძირი თანხა და მთლიანი დარიცხული პროცენტი. ეს მოვალეობა წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას და B საწარმომ ის უნდა აღიაროს თავის ბუღალტრულ ჩანაწერებში. ამ სესხის თავდაპირველი ღირებულება არის ფულადი სახსრები, რომლის გადახდის მოვალეობა გააჩნია B საწარმოს - 30,000 ლარი (30/09/20X1 წელს B საწარმოს ჭერ პროცენტის გადახდის მოვალეობა არ აქვს, რადგან პროცენტი ჭერ დარიცხული არ არის; სასესხო დავალიანების ოდენობა დროთა განმავლობაში გაიზრდება, პროცენტის დარიცხვის შედეგად).**

**30/09/20X1 წელს B საწარმომ შემდეგი ბუღალტრული გატარებები უნდა შეასრულოს:**

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
ფულადი სახსრები	30,000	
სხვა ნახსხები თანხები		30,000
<i>A საწარმოსგან მიღებული სესხის აღიარება</i>		

**მაგალითი 10- ბანკის სესხის თავდაპირველი შეფასება**

**05/02/20X1 წელს:**

- A საწარმო კომერციულ ბანკთან ხელს აწერს 25,000 ლარის სასესხო შეთანხმებაზე.
- ბანკი A საწარმოს აკისრებს სესხის გაცემის საკომისიოს 500 ლარის ოდენობით.
- A საწარმო კომერციული ბანკისგან სესხის იღებს 24,500 ლარის ოდენობით (25,000 ლარი - 500 ლარი)

სესხი უნდა დაიფაროს თანაბარი თვიური გადახდებით 24 თვის განმავლობაში.

**05/02/20X1 წელს A საწარმო სასესხო შეთანხმების ხელშეკრულების მხარე ხდება. მისი სახელშეკრულებო მოვალეობაა მიღებული ძირი თანხის,**

25,000 ლარის და დარიცხული პროცენტის თანხის გადახდა. ეს მოვალეობა ფინანსური ვალდებულებაა და A საწარმომ იგი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებში უნდა აღიაროს. ამ სესხის დავალიანების თავდაპირველი ღირებულებაა 25,000 ლარი, რომლის გადახდის მოვალეობა აქვს B საწარმოს – (05/02/20X1 წელს, A საწარმოს ფერ პროცენტის გადახდის მოვალეობა არ გააჩნია, რადგან პროცენტი ფერ დარიცხული არ არის. A საწარმომ 500 ლარი გარიგების საკომისიო ხარჯებში უნდა აღიაროს 20X1 წელს (იხ. მოთხოვნა პუნქტში 5.10).

**05/02/20X1 წელს A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი ბუღალტრული გატარებები:**

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
ფულადი სახსრები	24,500	
სხვა ხარჯები	500	
ბანკებისგან ნახევები თანხები		25,000
<u>კომერციული ბანკისგან მიღებული სესხისა და გარიგების დანახარჯის აღიარება</u>		

- 5.7 სტანდარტის მიხედვით საწარმოთა გარიგების დანახარჯები მიჩნეულია არაარსებითად და აღიარდება ხარჯის სახით შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაშილებელი მოგების ანგარიშგებაში.
- 5.8 თუმცა, როდესაც საწარმო სახელმწიფოსგან იღებს უპროცენტო, ან დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხს, მან გარიგების ფასის დასადგენად უნდა გამოიყენოს 14.4 პუნქტი.

სახელმწიფოსგან უპროცენტო, ან დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი სახელმწიფო გრანტს წარმოადგენს. სახელმწიფო გრანტი არის საწარმოსთვის რესურსების გადაცემით დახმარების გაწევა სახელმწიფოს მიერ, საწარმოს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით წარსულში ან მომავალში გარკვეული პირობების დაკმაყოფილების სანაცვლოდ. დამატებითი განმარტებისთვის იხილეთ თვითსწავლების მასალა, რომელიც ახლავს მე-14 განყოფილებას – სახელმწიფო გრანტები.

- 5.9 ასევე, როდესაც საწარმო შემდგომი გადახდის პირობით ყიდულობს მარაგებს (იხ. მე-6 განყოფილება – „მარაგები“), გრძელვადიან აქტივებს (იხ. მე-7 განყოფილება – „გრძელვადიანი აქტივები“) ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებულ ბიოლოგიურ აქტივებს (იხ. მე-8 განყოფილება – „ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“), ან ყიდის საქონელს ან ეწევა მომსახურებას და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე (იხ. პუნქტი 13.8), მაშინ გარიგების ფასი დაუყოვნებლივ გადახდის ფასია, რომელიც ხელმისაწვდომია გარიგების თარიღისთვის.

ჩვეულებრივი კრედიტის ვადა არის ვადა (მაგალითად, დღეების რაოდენობა გადახდამდე), რომელსაც საწარმო მსგავსი მყიდველების ჯგუფს ჩვეულებრივ სთავაზობს. „მომხმარებელთა ჯგუფი“ ზოგადი ტერმინია და შეიძლება დაკავშირებული იყოს მომხმარებელთა იურიდიულ სტატუსთან (მაგალითად, ფიზიკური პირები ან იურიდიული პირები), მათ გეოგრაფიულ მდგომარეობასთან, დარგთან და სხვა. ჩვეულებრივი კრედიტის ვადის შემდეგ ანგარიშსწორების ოდენობა თითქმის ყოველთვის აღემატება ჩვეულებრივი კრედიტის ვადაში გადახდის ფასს.

დაუყოვნებლივ გადახდის ფასი არის თანხა, რომელსაც მომხმარებლები გადაიხდიდნენ გარიგების დადების დღეს. გარიგების ფასსა (რომელიც გადასახდელია სამომსახულო [ვადაგადებული] თარიღით) და დაუყოვნებლივ გადახდის ფასს (გადასახდელია მაშინვე) შორის სხვაობა წარმოადგენს გარიგების ფასის ფინანსურ კომპონენტს.

როგორც წესი, საწარმო რაც უფრო მაღე მიიღებს თანხას თავისი საქონლისა და მომსახურებისთვის, მით უკეთესია. ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს:

- საწარმო ზღუდავს რისკს, რომ მომხმარებლებმა შეიძლება არ გადაიხდონ თანხა; და
- საწარმოს ლიკვიდობა უფრო მაღალი იქნება, რადგან საბრუნავ კაპიტალში ნაკლები ფულადი სახსრები იქნება ჩადებული (სხვა ფაქტორების უცვლელად დატოვების შემთხვევაში); საწარმო შეძლებს ამ ფულადი სახსრების თავის ბიზნეს-ოპერაციებში უფრო სწრაფად გამოყენებას.

აღნიშნული ფაქტორების გამო საწარმოს დამატებითი ანაზღაურება სჭირდება, როდესაც ანგარიშსწორების ვადა სცდება ჩვეულებრივ ვადას. მართალია, გარკვეული განსჯა გამოიყენება, მაგრამ, როგორც წესი, ადვილია ჩვეულებრივ ვადაზე ხანგრძლივად გადავადების გამოვლენა.

**მაგალითი 11- ჩვეულებრივ საკრედიტო ვადაზე ხანგრძლივი ანგარიშსწორების ვადა**

როგორც წესი, A საწარმო თავის კორპორაციულ დამკვეთებს 45 დღიან საკრედიტო ვადას სთავაზობს (რაც იდენტურია იმ ვადისა, რომელსაც სხვა მსგავსი საწარმოები აძლევენ მსგავს მომხმარებლებს).

თუ A საწარმო მომხმარებელს საშუალოდ 45 დღიან პერიოდზე მნიშვნელოვნად ხანგრძლივ პერიოდს შესთავაზებს (მაგალითად, 180 დღე), ეს მიიჩნევა ჩვეულებრივ საკრედიტო ვადაზე უფრო ხანგრძლივ გადავადებად. აღნიშნულის გამო გაზრდილი რისკის ასანაზღაურებლად A საწარმო ამ მომხმარებელს უფრო მაღალ ფასს დააკისრებს, ვიდრე იმ მომხმარებლებს, ვინც მისგან ჩვეულებრივი ანგარიშსწორების ვადით ყიდულობენ.

- 5.10 სხვაობა შემდგომი გადახდის ფასსა და დაუყოვნებლივ გადახდის ფასს შორის (5.9 პუნქტის შესაბამისად) ასახავს ფინანსურ ოპერაციას, რომელიც აღირიცხება წრფივი მეთოდით, როგორც საპროცენტო შემოსავალი (როდესაც საწარმო გამყიდველია, იხ. პუნქტი 5.13(ა)), ან საპროცენტო ხარჯი (როდესაც საწარმო მყიდველია), გადავადებული გადახდის პერიოდის განმავლობაში (იხ. პუნქტი 5.17).

თავდაპირველი აღიარებისას ღირებულების განსაზღვრისა და სხვაობის საპროცენტო შემოსავლის ან, საჭიროებისამებრ ხარჯის სახით აღრიცხვის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ თვითსწავლების მასალები პუნქტის 5.13(ა) შემდეგ მოცემულ მე-11 მაგალითში.

- 5.11 გარიგების დანახარჯები ხარჯის სახით აღიარდება გაწევისთანავე შემთხვევების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

გარიგების დანახარჯები ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნაზე პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯებია. გარიგების დანახარჯების მაგალითებია:

- ინსტრუმენტის გაცემის ნებისმიერი გადასახდელი ან საკომისიო (მაგალითად, სესხის გაცემის საკომისიო);
- ნებისმიერი ხარჯი, რომელიც გაიწევა უზრუნველყოფის რეგისტრაციაზე, ან სხვა იურიდიულ ასპექტებზე (მაგალითად, შეთანხმების მომზადება); და
- ნებისმიერი გადასახდელი ან საკომისიო, რომელიც მესამე მხარეს უნაზღაურდება დაინტერესებული გამსესხებლების ან მსესხებლების მოძებნისათვის.

ინფორმაცია გარიგების დანახარჯების აღრიცხვის შესახებ მოცემულია თვითსწავლების მასალებში, პუნქტის 5.7 შემდეგ მოცემულ მე-10 მაგალითში.

#### ფინანსური აქტივების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემთხვევა

- 5.12 თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსური აქტივები უნდა შეაფასოს შემდეგნაირად:

- (ა) ინვესტიციები სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში – თვითსწილებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი;

სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება თავდაპირველად აღიარებული თვითსწილებულებიდან არ იცვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმო შემდგომ პერიოდში აღიარებს გაუფასურების ხარჯს ამ ინვესტიციაზე. ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ უნ-

და გამოითვალით გაუფასურების ხარჯი გაუფასურების ხარჯი და/ან დაგროვილი გაუფასურება მოცემულია პუნქტის 5.14 თვითსწავლების მასალებში.

- (ბ) ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული თვითდირებულებით, რომელსაც:
- (i) ემატება აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშებო თარიღამდე აღიარებული საპროცენტო შემოსავალი;
  - (ii) აკლდება აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები; და;
  - (iii) აკლდება დაგროვილი გაუფასურების გარალის თანხა.

შემდგომი შეფასების შესახებ პუნქტებში 5.12(ბ) და 5.16 მითითებულია პროცედურები ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (გარდა სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციებისა) საბალანსო ღირებულების შეფასებისთვის. მსგავსი შეფასება შესაფერისია, მაგალითად:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელთა ანგარიშ-სწორების ვადა ჩვეულებრივზე ხანგრძლივადაა გადავადებული;
- საწარმოს მიერ გაცემული (ფინანსური აქტივები) ან საწარმოს მიერ მიღებული (ფინანსური ვალდებულებები) სესხებისთვის, რომელსაც პროცენტი ერიცხება; და
- საწარმოს მიერ ფინანსურ ინსტიტუტში განთავსებული დეპოზიტებისათვის, რომელთაც პროცენტი ერიცხება (ფინანსური აქტივები).

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთაც ანგარიშ-სწორების ჩვეულებრივი ვადა აქვს (მაგალითად, სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო ვალდებულებები, და სხვა) აღიარების შემდგომ შეფასდება თანხით, რომელიც ფინანსური აქტივების შემთხვევაში თავდაპირველად აღიარებული თვითდირებულების ტოლია, რომელიც შემცირებულია დაგროვილი გაუფასურებით. მათი მოკლევადიანი ხასიათისა და ანგარიშ-სწორების ჩვეულებრივი ვადების გამო მიიჩნევა, რომ ამ ინსტრუმენტებს არ გააჩნიათ დაფინანსების კომპონენტი. საწარმოს მიერ ფლობილი ფულადი სახსრების ხასიათი ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია დაფინანსების კომპონენტი.

**5.13 საპროცენტო შემოსავალი არის სხვაობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისაღებ მთლიან თანხასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველად აღიარებულ თვითდირებულებას შორის. საწარმომ საპროცენტო შემოსავალი ხელშეკრულების ვადაზე უნდა გაანაწილოს შემდეგნაირად:**

- (ა) წრფივი მეთოდით ხელშეკრულების ვადის მიხედვით – ისეთი ოპერაციისთვის, რომელიც განხორციელდა შემდგომი გადახდის პირობით და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე (როგორც ეს აღწერილია 5.9 პუნქტში).

მაგალითი 11- საქონლის გაყიდვა ჩვეულებრივზე ხანგრძლივი ანგარიშ-სწორების ვადით

A საწარმო ხის სკამებს ყიდის, თითოეულის ფასია 150 ლარი. A საწარმო ამ ფასს სთავაზობს ინდივიდუალურ მომხმარებლებს დაუყოვნებლივ გადახდის შემთხვევაში და ასევე კორპორაციულ მომხმარებლებს, რომლებიც სკამების მიწოდებიდან 30 დღეში იხდიან თანხას.

**30/09/20X1 წელს:**

- A საწარმომ ათი ხის სკამი მიყიდა B საწარმოს 5 თვიანი კრედიტით. ანგარიშსწორების გაზრდილი ვადის გამო საწარმოები შეთანხმდნენ დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე უფრო მაღალ ფასზე, 170 ლარი თითოეული სკამისთვის.
- A საწარმო ხის სკამებს აწვდის B საწარმოს.

B საწარმო გეგმავს ამ სკამების გაყიდვას.

როგორ უნდა აღრიცხოს A საწარმომ ეს გარიგება?

**30/09/20X1 წელს A საწარმომ უნდა აღრიცხოს:**

- B საწარმოსთვის 10 ხის სკამის მიყიდვა; და
- დაფინანსება, რომელსაც იგი B საწარმოს აძლევს.

მართალია, ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ერთი სკამის გასაყიდი ფასია 170 ლარი (ანუ მთლიანი ფასია 1,700 ლარი), მაგრამ იმის გამო, რომ შეთანხმება მოიცავს ანგარიშსწორების ჩვეულებრივ ვადაზე ხანგრძლივ კრედიტის ვადას (ანუ 5 თვე, 30 დღის ნაცვლად), საჭიროა დაფინანსების კომპონენტის გამოვლენა და აღრიცხვა.

ამიტომ **30/09/20X1 წელს A საწარმომ უნდა:**

- აღიაროს საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები დაუყოვნებლივ გადახდის ფასით იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც ამ თარიღით იხდიან ფულად სახსრებს (როგორც ეს პუნქტით **13.8** მოითხოვება); და
- აღიაროს სავაჭრო მოთხოვნა B სააწრმოსგან, რომელიც შეფასდება **1,500** ლარით —ღირებულება არის დაუყოვნებლივ ვადაზე ფასი (როგორც პუნქტით 5.8 მოითხოვება), ანუ 10 სკამი **x 150 ლარზე**.
- A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი გატარებები:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სავაჭრო მოთხოვნები	1,500	
ნეტო ამონაგები - საქონლის გაყიდვიდან		1,500
10 ხის სკამის გაყიდვიდან წარმოქმნილი ამონაგებისა და მოთხოვნის აღიარება		

შეთანხმების მიხედვით მთლიან ფასს (1,700 ლარი) და დაუყოვნებლივ გა-

დახდის ფასს (1,500 ლარი) შორის სხვაობა წარმოადგენს დაფინანსებს კომპონენტს, რომელიც საპროცენტო შემოსავლის სახით უნდა აღიარდეს ანგარიშსწორების ვადის (5 თვე) განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

მაშასადამე, **31/12/20X1** წელს A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი გატარებები:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საგაჭრო მოთხოვნა	120	
საპროცენტო შემოსავალი		120
<i>20X1 წლის საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნებადი საპროცენტო შემოსავლის აღიარება</i>		

**28/02/20X2** წელს, როდესაც ამოიწურება ანგარიშსწორების ვადა, B საწარმომ შემდეგი გატარებები უნდა შეასრულოს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საგაჭრო მოთხოვნა	80	
საპროცენტო შემოსავალი		80
<i>20X2 წლის საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნებადი საპროცენტო შემოსავლის აღიარება</i>		

შესაბამისად, **28/02/20X2** წელს B საწარმოს მიმართ A საწარმოს საგაჭრო მოთხოვნის საბალანსო ღირებულება იქნება **1,700 ლარი** (რაც შეთანხმების მთლიანი ფასის ტოლია).

<b>საგაჭრო მოთხოვნის მთლიანი ოდენობა 31/12/20X1 წელს</b>	<b>1,620 ლარი</b> <i>(1,500 ლარი + 120 ლარი)</i>
<b>20X2 წლის იანგარიშ და თებერვალში აღიარებული მთლიანი საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>80 ლარი</b> <i>(40 ლარი x 2 თვე)</i>
<b>საგაჭრო მოთხოვნის საბალანსო ღირებულება 28/02/20X2 წელს (B საწარმოს მიერგვადა დაფახდამდე)</b>	<b>1,700 ლარი</b> <i>(1,620 ლარი + 80 ლარი)</i>

მაშასადამე, **28/02/20X2** წელს, როდესაც A საწარმო **1,700 ლარს** (მთლიანი ფასი შეთანხმების მიხედვით) მიიღებს B საწარმოსგან სავაჭრო მოთხოვნის დაფარვისთვის, A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი გატარებები:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
ფულადი სახსრები	1,700	
საგაჭრო მოთხოვნა		1,700
<i>მიღებული ფულადი სახსრების აღიარება, საგაჭრო მოთხოვნის ანულირება</i>		

როგორ უნდა აღრიცხოს B საწარმომ ეს ოპერაცია?

**30/09/20X1** წელს B საწარმო :

- ყიდულობს 10 ხის სკამს, თითოეულს 170 ლარად (მთლიანი ფასია 1,700

ლარი);

- აღიარებს მარაგს და სავაჭრო კრედიტს, რადგან A საწარმომ შეასრულა ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის მიწოდების მოვალეობა.

B საწარმო-მ, 30/09/20X1 წელს საჭირო გატარებების შესასრულებლად, უნდა განსაზღვროს სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული თვითღირებულება და მარაგის თვითღირებულება (პუნქტის 6.4 შესაბამისად).

ვინაიდან შეთანხმების მიხედვით ანგარიშსწორების ვადა ჩვეულებრივ ვადას სცილდება (5 თვე, ნაცვლად ჩვეულებრივი 30 დღიანი ვადისა), შეთანხმების მთლიანი ფასი მოიცავს დაფინანსების კომპონენტს, რომელიც საპროცენტო ხარჯის სახით უნდა აღიარდეს ანგარიშსწორების ვადის განმავლობაში. ამასთან, 30/09/20X1 წელს შეძენილი მარაგის ღირებულება უნდა შეფასდეს დაუყოვნებლივ გადახდის ფასით (როგორც მოითხოვება პუნქტით 6.5). ანალოგიურად, სავაჭრო ვალდებულება (A საწარმოსთვის გადასახდელი) თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს დაუყოვნებლივ გადახდის ფასით (როგორც მოითხოვება პუნქტით 5.9).

**30/09/20X1 დაუყოვნებლივ გადახდის ფასია 150 ლარი თითოეული სკამის-თვის; ამიტომ, 10 სკამის მთლიანი დაუყოვნებლივ გადახდის ფასი აღნიშნული თარიღით არის 1,500 ლარი. შეთანხმების მიხედვით მთლიან ფასსა (1,700 ლარი) და დაუყოვნებლივ გადახდის ფასს (1,500 ლარი) შორის სხვაობა, 200 ლარი, წარმოადგენს დაფინანსების კომპონენტს. ის საპროცენტო ხარჯის სახით უნდა აღიარდეს ანგარიშსწორების ვადის განმავლობაში (5 თვე), წრფივი მეთოდით.**

**30/09/20X1 წელს B საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი ბუღალტრული გატარებები:**

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
მარაგები	1,500	
სავაჭრო ვალდებულებები		1,500
<b>კრედიტით ნაყიდი მარაგის აღიარება (სავაჭრო დაგალითანება A საწარმოს მიმართ)</b>		

ამასთან, B საწარმომ 200-ლარიანი დაფინანსების კომპონენტი საპროცენტო ხარჯზე უნდა გაანაწილოს ანგარიშსწორების ვადის, 5 თვის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ე.ო. ყოველთვიურად უნდა განხორციელდეს, თვეში 40 ლარის (200 ლარი / 5 თვე) აღიარება საპროცენტო ხარჯად. მიუხედავად იმისა, თუ რა სიხშირით გადაწყვეტს B საწარმო საპროცენტო ხარჯის აღიარებას (მაგალითად, ყოველთვიურად, ორ თვეში ერთხელ), მან უნდა უზრუნველყოს საპროცენტო ხარჯის **სათანადო საანგარიშგებო პერიოდში აღიარება.**

მაგალითად, თუ B საწარმოს საანგარიშგებო თარიღია 31/12/20X1 წელი, მაშინ მან 120 ლარის ოდენობით 3 თვის (ოქტომბერი – დეკემბერი 20X1 წ.) საპროცენტო ხარჯი 31/12/20X1 წლისთვის უნდა აღიაროს, შემდეგი გატარებების შესრულებით 31/12/20X1 წელს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საპროცენტო ხარჯი	120	
სავაჭრო ვალდებულებები		120

**31/12/20X1 წელს დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნებული საპროცენტო ხარჯის აღიარება**

28/02/20X2 წლისთვის B საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების (გადასახდელი A საწარმოსთვის) საბალანსო ღირებულება იქნება 1,700 ლარი (რაც შეთანხმების მთლიანი ფასის ტოლია).

<b>სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 31/12/20X1</b>	<b>1,620 ლარი</b> <i>(1,500 ლარი + 120 ლარი)</i>
იანვარსა და 28/02/20X2 თარიღით აღიარებული მთლიანი საპროცენტო ხარჯი	80 ლარი <i>(40 ლარი x 2 თვე)</i>
<b>სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 28/02/20X2 (B საწარმოს მიერ გადახდამდე)</b>	<b>1,700 ლარი</b> <i>(1,620 ლარი + 80 ლარი)</i>

სხვაობა მთლიან ფასსა (1,700 ლარი) და დაუყოვნებლივ გადახდის ფასს (სავაჭრო ვალდებულებების ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, 1,500 ლარი) შორის ანგარიშსწორების ვადის განმავლობაში აღიარდება.

28/02/20X2 წელს, როდესაც ამოიწურება ანგარიშსწორების 5-თვიანი ვადა, B საწარმომ შეთანხმების შესაბამისად უნდა გადაიხადოს მთლიანი ფასი, 1,700 ლარი.

(გ) ყველა სხვა შემთხვევაში – ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით მუდმივი (უცვლელი) საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ამ მიზნისთვის შესაფერისი განაკვეთი, როგორც წესი, იქნება სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი.

როგორც პუნქტის 5.12(გ) თვითსწავლების მასალაშია ასანილი, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ შეიცავენ დაფინანსების კომპონენტს, შემდგომში შეფასდება თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით, ფინანსური აქტივების შემთხვევაში. ამიტომ, მსგავსი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (მაგალითად, ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო ვალდებულებები) აღრიცხვა არ ასახავს საპროცენტო შემოსავალს ან საპროცენტო ხარჯს.

ანგარიშსწორების ჩვეულებრივ ვადაზე ხანგრძლივი ანგარიშსწორების ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი განხილულია ზემოთ მოცემული პუნქტის 5.13 (ა) თვითსწავლების მასალებში.

მაშასადამე, ფინანსური ინსტრუმენტები (აქტივები და ვალდებულებები), რომელთა საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი უნდა აღიარდეს მუდმივი განაკვეთით საბალანსო ღირებულებაზე, ძირითადად (მაგრამ არა ყოველ-

თვის) გახლავთ:

- საწარმოს მიერ გაცემული, პროცენტიანი სესხები (ფინანსური აქტივები) ან მიღებული პროცენტიანი სესხები (ფინანსური ვალდებულებები); და
- საწარმოს მიერ ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული პროცენტიანი დეპოზიტები (ფინანსური აქტივები).

სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული (მაგალითად, წლიური 12%) ან ცვალებადი, რომელსაც მცოცავ განაკვეთ-საც უწოდებენ (მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს + 3%). როდესაც სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, განაკვეთი „მუდმივია“ ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში (მაგალითად, 12%). თუმცა, მცოცავგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შემთხვევაში „მუდმივი განაკვეთი“ იგივე იქნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვის სიხშირეზე (მაგალითად, რამდენად რეგულარულად ცვლის რეფინანსირების განაკვეთს საქართველოს ეროვნული ბანკი). მცოცავი განაკვეთის ცვალებადი ნაწილის ცვლილებას ფასის ხელახლა დადგენას უწოდებენ. ამ პუნქტით მოითხოვება იგივე „მუდმივი განაკვეთის“ გამოყენება თითოეული ხელახლა შეფასების პერიოდში და ახალი (ხელახლა დადგენილი) „მუდმივი განაკვეთის“ გამოყენებას განაკვეთის მომდევნო ხელახლა დადგენის პერიოდში და ასე შემდეგ.

პუნქტი 5.13 (და პუნქტი 5.17) მოცემული განმარტების საფუძველზე პროცენტის თანხა (შემოსავალი ან ხარჯი) არის ფინანსური აქტივის (ან ვალდებულების) მომსახურების ვადის განმავლობაში მთლიანი გადახდების თანხასა და თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის სხვაობა. მაგალითად, თუ 2 წლიანი, 17,000 ლარიანი სესხის ყველა სამომავლო გადახდების ჯამი 19,200 ლარია, მაშინ 2,200 ლარის ოდენობით ნამეტი არის პროცენტის თანხა, რომელიც აღნიშნულ 2 წლიან პერიოდზე უნდა გადანაწილდეს.

როდესაც გადახდის პირობები არ გულისხმობს გადახდის ვადის დადგომისას ერთიან გადახდას – ძირ თანხას მიმატებული დარიცხული პროცენტი, მსგავსი განაწილება იწვევს პროცენტის (შემოსავალი ან ხარჯი) არათანაბარი თანხების აღიარებას თანაბარი ხანგრძლივობის დროის ინტერვალებში. ეს განსხვავდება წრფივი განაწილების საფუძვლისგან, რომლის შესაბამისად პროცენტის თანხა (შემოსავალი ან ხარჯი) ერთი და იგივეა სხვადასხვა პერიოდში. თუმცა, ორივე შემთხვევაში მთლიანი განაწილებული თანხა უნდა უდრიდეს პროცენტის მთლიან თანხას (მაგალითად, 2,200 ლარს, 8ემოთ მოცემულ მაგალითში).

პრაქტიკაში გამოიყენება გადახდის გრაფიკები, რომლებიც შექმნილია პროცენტის არათანაბარი თანხების გამოსათვლელად, რაც თითოეულ პერიოდზე განაწილდება სესხის მოქმედების ვადის განმავლობაში. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, როგორ ადგენენ გადახდის გრაფიკებს.

**მაგალითი 12- სესხი, რომლის ძირი თანხისა და დარიცხული პროცენტის გადახდა ხორციელდება სესხის ვადის გასვლისას**

A საწარმო და B საწარმო მეოთხე კატეგორიის საწარმოებია, რომელთა საან-

გარიშებო თარიღია 31 დეკემბერი. **30/09/20X1** წელს A საწარმომ **70,000 ლარი** ასესხა B საწარმოს **1.5 წლით (18 თვე)**, წლიური **15%** საპროცენტო განაკვეთით (ანუ **მუდმივი განაკვეთი**). სესხი უნდა დაიფაროს ერთი გადახდით, რომლის ოდენობა არის ძირითადი თანხას მიმატებული **1,5 წლის განმავლობაში** დარიცხული პროცენტი. A საწარმომ შეადგინა სესხის გადახდის შემდეგი გრაფიკი, რასაც ეთანხმება B საწარმო:

თვე <sup>(1)</sup>	გაცემული სესხი	დარიცხული პროცენტი <sup>(2)</sup>	მთლიანი გადახდა <sup>(3)</sup>	ძირითადი გადახდა <sup>(4)</sup>	პროცენტის გადახდა <sup>(5)</sup>	ძირითან ნაშთი <sup>(6)</sup>	პროცენტის ნაშთი <sup>(7)</sup>
0	70,000	-	-	-	-	70,000	-
1	-	875	-	-	-	70,000	875
2	-	875	-	-	-	70,000	1,750
3	-	875	-	-	-	70,000	2,625
4	-	875	-	-	-	70,000	3,500
5	-	875	-	-	-	70,000	4,375
6	-	875	-	-	-	70,000	5,250
7	-	875	-	-	-	70,000	6,125
8	-	875	-	-	-	70,000	7,000
9	-	875	-	-	-	70,000	7,875
10	-	875	-	-	-	70,000	8,750
11	-	875	-	-	-	70,000	9,625
12	-	875	-	-	-	70,000	10,500
13	-	875	-	-	-	70,000	11,375
14	-	875	-	-	-	70,000	12,250
15	-	875	-	-	-	70,000	13,125
16	-	875	-	-	-	70,000	14,000
17	-	875	-	-	-	70,000	14,875
18	-	875	(85,750)	(70,000)	(15,750)	-	-
<b>სულ</b>		<b>15,750</b>	<b>85,750</b>	<b>70,000</b>	<b>15,750</b>		

#### შენიშვნები:

- (1) თვე 0 წარმოადგნს სესხის გაცემის თარიღს, ანუ საწყის პერიოდს. ამიტომ, გაცემული სესხის ოდენობა (სესხის თავდაპირებულად შეფასებული დირექტულება მე-5 განცოცილების შესაბამისად) აისახება 0 თვეში. დამატებითი თანხები თუ გაიცემოდა, ისინი აისახებოდა შესაბამის თვეში.
- (2) ამ სვეტში გამოთვლილია პროცენტი (**შემოსავალი ან ხარჯი**), რომელიც წარმოიქმნება კონკრეტულ თვეში, 15%-იანი მუდმივი წლიური განაკვეთის გამოყენებით). 1 თვის დარიცხული პროცენტის გამოთვლის ზოგადი ფორმულა ი თვისთვის შემდეგია:
 

(1 თვის ძირითან ნაშთი 1 წლიურ საბროკერტო განაკვეთზე **x 1/12** (თვის წილი წელიწადში))

ვინაიდან ეს სესხი ერთადერთი გადახდით იდარება მისი დაფარვის ვადის დადგომისას, ნებისმიერ თვეში დარიცხული პროცენტი ერთი და იგივე იქნება (ძირითან ნაშთის მიხედვით არ იცვლება): **70,000 ლარი x 15% x 1/12 = 875 ლარი**
- (3) ამ სვეტში მოცემულია ფაქტობრივი სახელშეკრულებო გადახდები სესხის პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი გადახდა განხორციელდება (მე-18 თვეში). მე-18 თვეში მთლიანი გადახდის ოდენობა შემდეგნაირად გამოითვლება:

ძირითან ნაშთი მე-17 თვეში + პროცენტის ნაშთი მე-17 თვეში + მე-18 თვეში დარიცხული პროცენტი როგორც ზემოთ მოცემული ფორმულიდან ჩანს, მთლიანი გადახდა შეიძლება გაიყოს ორი სახის გადახდად - ძირითან ნაშთის (**70,000 ლარი**) და პროცენტის (**14,875 ლარი + 875 ლარი = 15,750 ლარი**).

- (4) როგორც სესხის გადახდის პირობება ერთი გადახდა დაფარვის ვადის დადგომისას, ბოლო თვეში ძირითან გადახდა ტოლია დასაფარი ძირითან ნაშთისა (ანუ **70,000 ლარს**).
- (5) როგორც სესხის გადახდის პირობების მიხედვით ერთი გადახდა ხორციელდება სესხის ვადის ამოწერისას, ბოლო თვეში გადახდილი პროცენტის თანხა ტოლია სესხის გადახდის განმავლობაში დარიცხული

მთლიანი პროცენტის თანხის (მათ შორის ბოლო თვის - ანუ 15,570 ლარის ტოლია).

(6) ძირი თანხის ნაშთი ი თვისთვის შემდეგნაირად გამოითვლება:

(n-1) თვის ძირი თანხის ნაშთი + n თვეში გაცემული სესხი – n თვის ძირი თანხის გადახდა

(7) n თვის პროცენტის თანხის ნაშთი შემდეგნაირად გამოითვლება:

(n-1) თვის პროცენტის თანხის ნაშთი + n თვეში დარიცხული პროცენტი – n თვის პროცენტის თანხის გადახდა

ამ გრაფიკის შედეგის შემდეგ საწარმოები ხელს აწერენ სასესხო შეთანხმებას და A საწარმო სესხის თანხას, 70,000 ლარს გადასცემს B საწარმოს.

65

როგორ უნდა აღრიცხოს A საწარმომ (გამსესხებელმა) სესხი?

**30/09/20X1** წელს A საწარმო ხდება B საწარმოსთან სასესხო შეთანხმების მონაწილე მხარე. მას უფლება აქვს 18 თვეში მიიღოს ფულადი სახსრები (ძირი თანხა, მიმატებული დარიცხული პროცენტი). სესხის (ფინანსური აქტივი) თავდაპირველი აღიარება უნდა განხორციელდეს პუნქტში 5.6 მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.

A საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ საპროცენტო შემოსავალი აღიარდეს იმ პერიოდში, რომელსაც იგი მიეკუთვნება (სევა სიტყვებით, იგი განაწილდება **სათანადო საანგარიშგებო პერიოდზე** (ანუ 20X1 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის შემოსავალი უნდა განაწილდეს ფინანსურ წელზე **20X1**)).

შესაბამისად, **31/12/20X1** წელს A საწარმო შეასრულებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სევა მოკლევადიანი აქტივები	2,625	
საპროცენტო შემოსავალი		2,625
<b>20X1 წლის საანგარიშგებო პერიოდზე (სესხის ვადის თვეები 1, 2, და 3 – 875 ლარი x 3 თვე) მიკუთვნებადი საპროცენტო შემოსავლის აღიარება.</b>		

**31/12/20X2** A საწარმო შეასრულებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სევა მოკლევადიანი აქტივები	10,500	
საპროცენტო შემოსავალი		10,500
<b>20X2 წლის საანგარიშგებო პერიოდზე (სესხის ვადის თვეები 4–15 – 875 ლარი x 12) მიკუთვნებადი საპროცენტო შემოსავლის აღიარება.</b>		

როგორც სესხის გრაფიკიდან ჩანს, მე-18 თვის ბოლოს (**31/03/20X3**) მთლიანი სესხის და პროცენტის მოთხოვნის ნაშთები მთლიანი ფულადი სახსრების ტოლი იქნება, რომელსაც A საწარმო მიიღებს B საწარმოსგან და შეადგენს 85,750 ლარს. შედეგად, განხორციელდება სრული ანგარიშსწორება, რაც განაპირობებს მისი აღიარების სრულად შეწყვეტას.

31/03/20X3 წელს A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი ბუღალტრული გატარებები:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2,625	
საპროცენტო შემოსავალი		2,625
<b>20X3 წლის საანგარიშგებო პერიოდზე (სესხის ვადის თვეები 16, 17, და 18 – 875 ლარი x 3) მიკუთვნებადი საპროცენტო შემოსავლის აღიარება.</b>		

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
ფულადი სახსრები	85,750	
სხვა მოკლევადიანი აქტივები		85,750
<b>სესხის დაფარვის ვადის ამოწურვისას აღიარების შეწყვეტა (ანგარიშსწორება).</b>		

როგორ უნდა აღრიცხოს სესხი B საწარმომ (მსესხებელმა)?

30/09/20X1 წელს B საწარმო ხდება A საწარმოსთან სასესხო შეთანხმების მონაწილე. მას აქვთ ფულადი სახსრების (ძირით თანხა და დარიცხული პროცენტი) 18 თვეში გადახდის მოვალეობა. სესხის (ფინანსური ვალდებულება) თავდაპირველი აღიარება უნდა განხორციელდეს პუნქტში 5.6 მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.

სესხზე დარიცხული პროცენტი B საწარმომ სათანადო საანგარიშგებო პერიოდში უნდა აღრიცხოს (ანუ 20X1 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის საპროცენტო ხარჯი უნდა აღიარდეს ხარჯის სახით, რომელიც განაპირობებს 20X1 წლის მოგების განსაზღვრას).

შესაბამისად, 31/12/20X1 წელს B საწარმო შეასრულებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საპროცენტო ხარჯი	2,625	
სხვა ნახსენები თანხები		2,625
<b>20X1 წლის საანგარიშგებო პერიოდზე (სესხის ვადის თვეები 1, 2, და 3 – 875 ლარი x 3 თვე) მიკუთვნებადი საპროცენტო ხარჯის აღიარება.</b>		

31/12/20X2 წელს B საწარმო შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს შეასრულებს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საპროცენტო ხარჯი	10,500	
სხვა ნახსენები თანხები		10,500
<b>20X2 წლის საანგარიშგებო პერიოდზე (სესხის ვადის თვეები 4–15 – 875 ლარი x 12) მიკუთვნებადი საპროცენტო ხარჯის აღიარება.</b>		

როგორც სესხის გრაფიკიდან ჩანს, მე-18 თვის ბოლოს (31/03/20X3) მთლიანი სესხის და პროცენტის დავალიანების ნაშთები ტოლი იქნება მთლიანი ფულადი სახსრების, ანუ 85,750 ლარის, რომელსაც B საწარმო გადაუხდის A საწარმოს. შედეგად, განხორციელდება სრული ანგარიშსწორება (აღიარების სრულად შეწყვეტა).

31/03/20X3 წელს B საწარმო შეასრულებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საპროცენტო ხარჯი	2,625	
სხვა ნახესები თანხები		2,625

20X3 წლის საანგარიშები პერიოდზე (სესხის ვადის თვეები 16, 17, და 18 – 875 ლარი x 3) მიკუთვნებადი საპროცენტო ხარჯის აღიარება.

67

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა ნახესები თანხები	85,750	
ფულადი სახსრები		85,750
სესხის დაფარვის ვადის ამოწურვისას აღიარების შეწყვეტა (ანგარიშსწორება).		

მაგალითი 13- ანუიტეტიანი სესხი კომერციული ბანკისგან

A საწარმოს საანგარიშებო თარიღია 31 დეკემბერი.

30/09/20X1 წელს A საწარმო ხელს აწერს სესხის შეთანხმებას ადგილობრივ კომერციულ ბანკთან 70,000 ლარიანი სესხის აღებაზე, 1.5 წლით (18 თვე) 15%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით (ანუ მუდმივი განაკვეთი). სესხი ანუიტეტია - გადახდა განხორციელდება 18 თანაბარი ყოველთვიური გადახდით. ბანკი ადგენს სესხის გრაფიკს, რომელიც შეთანხმებაში უნდა შევიდეს.

ეს გრაფიკი მოცემულია ქვემოთ:

თვე <sup>1</sup>	გადახდული სესხი <sup>1</sup>	დარიცხული პროცენტი <sup>2</sup>	მთლიანი გადახდა <sup>3</sup>	ძირი თანხის გადახდა <sup>4</sup>	პროცენტის გადახდა <sup>5</sup>	ძირი თანხის ნაშთი <sup>6</sup>	პროცენტის ნაშთი <sup>7</sup>
0	70,000	-	-	-	-	70,000	-
1	-	875	4,367	3,492	875	66,508	-
2	-	831	4,367	3,536	831	62,972	-
3	-	787	4,367	3,580	787	59,393	-
4	-	742	4,367	3,625	742	55,768	-
5	-	697	4,367	3,670	697	52,098	-
6	-	651	4,367	3,716	651	48,383	-
7	-	605	4,367	3,762	605	44,620	-
8	-	558	4,367	3,809	558	40,811	-
9	-	510	4,367	3,857	510	36,955	-
10	-	462	4,367	3,905	462	33,050	-
11	-	413	4,367	3,954	413	29,096	-
12	-	364	4,367	4,003	364	25,092	-
13	-	314	4,367	4,053	314	21,039	-
14	-	263	4,367	4,104	263	16,935	-
15	-	212	4,367	4,155	212	12,780	-
16	-	160	4,367	4,207	160	8,573	-
17	-	107	4,367	4,260	107	4,313	-
18	-	54	4,367	4,313	54	-	-

სულ	8,608	78,605	70,000	8,605
-----	-------	--------	--------	-------

შენიშვნები:

ქვემოთ ფრჩხილებში მოცემული საილუსტრაციო გამოთვლები შესრულებულია  $n=3$ , ანუ სესხის მე-3 თვისთვის.

1) თვის 0 წარმოადგენს თარიღს, როდესაც გაიცა სესხი, საწყისი წერტილია. ამიტომ, გაცემული სესხის თანხა (თავდაპირველად აღიარებული სესხის ლირებულება მე-5 განყოფილების შესაბამისად) ასახულია 0 ვეში. თუ დამატებითი თანხები გაიცემოდა, ისინი აისახებოდა შესაბამის თვეში და გრაფიკი შესაბამისად განახლდებოდა. (მე-3 თვეში ბანკს რაიმე დამატებითი თანხა არ გაუცია, ამიტომ ამ უკრაში ნულია წერას).

2) ამ სევტში გამოთვლილია A საწარმოს საპროცენტო ხარჯი კონკრეტული თვისთვის (15%-იანი მუდმივი წლიური განაკვეთის გამოყენებით). 1 თვის დარიცხული პროცენტის გამოთვლის ზოგადი ფორმულა ითვისთვის შემდეგია:

$$n\text{-1 თვის } \frac{1}{F} \text{ თანხის ნაშთი } x \text{ წლიურ საპროცენტო განაკვეთი } x \frac{1}{12} \text{ (თვის წილი წელიწადში)}$$

რადგან ეს სესხი ანუიტეტია, ძირი თანხის ნაშთი იცვლება (მცირდება) თვიდან თვემდე; ამიტომ, დარიცხული პროცენტის თანხაც მცირდება ყოველი თვს შემდეგ:

$$\text{(მე-3 თვისთვის, } 787\text{ ლარი } = 62,972\text{ ლარი } x 15\% x (3-2) / 12)$$

3) ამ სევტში მოცემულია ფაქტორივი სახელშეკრულებო გადახდები სესხის პირობების შესაბამისად. რადგან ანუიტეტიანი სესხია, გადახდების ოდენობა ერთი და იგივე უნდა იყოს 18-ვე თვეში. მარტივად რომ ვთქვათ, ყოველთვიური გადახდები ისე უნდა დაანგარიშდეს, რომ 18 თანაბარი გადახდა ჯამში უდრიდეს ძირ თანხას (70,000 ლარი), მიმატებული 15% მუდმივი განაკვეთით შემცირებად ნაშთიზე დარიცხულ პროცენტის თანხას. მაშასადამე, შეიძლება დაგასასვნათ, რომ მთლიანი გადახდა (ყოველთვიური გადახდა) შედგება ძირი თანხის გადახდისა და პროცენტის თანხის გადახდის ნაწილებისაგან. ყოველთვიურად გადასახდელი თანხის გამოთვლის ფორმულაა:

$$\text{მთლიანი გადახდა } = \text{სესხის თანხა } / F.$$

$F$  არის ფაქტორი, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$F = \frac{\left( \left( 1 + \frac{i}{m} \right)^{mn} \right) - 1}{\left( \frac{i}{m} \left( 1 + \frac{i}{m} \right)^{mn} \right)}$$

სადაც:

$i$  – არის წლიური საპროცენტო განაკვეთი (ანუ 15%)

$m$  – არის წლიურად პროცენტის დარიცხვის სიხშირე (მაგ. ყოველთვიურად – 12)

$n$  – არის სესხის ვადა, გამოსახული წლებში (მაგ. 1.5 წელი)

ამ სესხის შემთხვევაში მთლიანი გადახდა, 4,367 ლარი, შემდეგნაირად იქნა გამოთვლილი:

$$4,367 \text{ ლარი } (\text{მთლიანი გადახდა}) = 70,000 \text{ ლარი } (\text{სესხის თანხა}) / 16.03 (F)$$

თავის მხრივ  $F$  შემდეგნაირად იქნა გამოთვლილი:

$$16.03 = \frac{\left( \left( 1 + \frac{15\%}{12} \right)^{12 \cdot 1.5} \right) - 1}{\left( \frac{15\%}{12} \left( 1 + \frac{15\%}{12} \right)^{12 \cdot 1.5} \right)}$$

როგორც ზემოთ მოცემული გამოთვლიდან ჩანს, ანუიტეტიანი სესხის გრაფიკი გაცილებით რთულია, ვიდრე სესხებისა, რომელთა დაფარვა ხდება ერთადერთი გადახდით, დაფარვის ვადის ამოწურვისას. რეკომენდირებულია ანუიტეტის გრაფიკის შედგენა ელექტრორული ცხრილების მეშვეობით.

4) ძირი თანხის, რომელიც მთლიანი გადახდის ნაწილია, გამოსათვლელი ფორმულაა:

მთლიანი გადახდა – პროცენტის გადახდა (იხ. ქვემოთ)

$$\text{(მე-3 თვისთვის, } 3,580 \text{ ლარი } = 4,367 \text{ ლარი } - 787 \text{ ლარი)}$$

5) რადგან სესხი ანუიტეტია, იგულისხმება, რომ ყოველთვიურად წარმოქმნილი პროცენტი (პროცენტის დარიცხვის სევტი) სრულად გადაიხდება იმავე თვეში. მაშასადამე, გადახდილი პროცენტი დარიცხული

პროცენტის ტოლი იქნება ყოველთვიურად.

- 6)  $n$  თვის ძირი თანხის ნაშთი შემდეგნაირად გამოითვლება:
- ( $n-1$ ) თვის ძირი თანხის ნაშთი +  $n$  თვეში გაცემული სესხი –  $n$  თვის ძირი თანხის გადახდა
- ( $\text{მე-3 თვისთვის, } 59,393 \text{ ლარი} = 62,972 \text{ ლარი} - 3,580 \text{ ლარი})$
- 7)  $n$  თვის პროცენტის თანხის ნაშთი შემდეგნაირად გამოითვლება:
- $n-1$  თვის პროცენტის თანხის ნაშთი +  $n$  თვეში დარიცხული პროცენტი –  $n$  თვის პროცენტის თანხის გადახდა
- რადგან ანუიტეტია და გაკეთებულია დაშვება, რომ პროცენტი იმავე თვეში გადაიხდება, როდესაც დაერიცხება, პროცენტის ნაშთი თითოეულ თვეში წულის ტოლი იქნება.

69

**30/09/20X1** წელს A საწარმო ხდება კომერციულ ბანკთან სასესხო შეთანხმების მონაწილე მხარე. მას გააჩნია ფულადი სასესრების (ძირი თანხა, მიმატებული დარიცხული პროცენტი) გადახდის მოვალეობა 18 თანაბარი გადახდით. სესხი თავდაპირველად აღიარდება ფინანსური ვალდებულების სახით, პუნქტის 5.6 შესაბამისად.

სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება (განაწილდება) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ის დაირიცხება (ანუ **20X1** წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის ხარჯი უნდა განაწილდეს ფინანსურ წელზე **20X1**).

შესაბამისად, **31/12/20X1** წელს A საწარმო შეასრულებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საპროცენტო ხარჯი	2,493	
ბანკისგან ნასესხები თანხები		2,493
<b>20X1</b> წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის მიკუთვნებადი საპროცენტო ხარჯის (თვეების 1, 2, და 3 დარიცხული პროცენტის ჯამი) აღიარება.		

**31/12/20X2** წელს A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი ბუღალტრული გატარებები:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
საპროცენტო ხარჯი	5,791	
ბანკისგან ნასესხები თანხები		5,791
<b>20X2</b> წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის მიკუთვნებადი საპროცენტო ხარჯის (თვეების 4 – 15 დარიცხული პროცენტის ჯამი) აღიარება.		

ეს ბუღალტრული გატარებები მხოლოდ საპროცენტო ხარჯის აღრიცხვის-თვისაა. ამ გატარებების გარდა A საწარმომ უნდა აღიაროს ასევე ყოველთვიური სესხის გადახდების შედეგად ფულადი სასესრების გასვლა – დებეტი: ბანკისგან ნასესხები თანხები და კრედიტი: ფულადი სასესრები, 4,367 ლარი (აღიარების ნაწილობრივი შეწყვეტა).

როგორც სესხის გრაფიკიდან ჩანს, მე-18 თვის ბოლოს (**31/03/20X3**), 4,367 ლარის ოდენობით გადახდის შემდეგ, საწარმო ფარავს სესხს (აღიარების სრული შეწყვეტა).

5.14 საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღის მდგომარეობით უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა რომელიმე ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულება. თუ გაუფასურების ნიშნები არსებობს, საწარმომ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით საიმედოდ უნდა შეაფასოს და განსაზღვროს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. თუ ეს ღირებულება ნაკლებია ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმომ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, აღნიშნული სხვაობით უნდა შეამციროს აქტივის საბალანსო ღირებულება და ამგვარი გაუფასურების ზარალი, მაშინვე აღიაროს ხარჯის სახით შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

მიიჩნევა, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურებულია, როდესაც ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც საწარმო ამ აქტივიდან მოელის, ნაკლებია იმ მთლიან სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე, რომლის მიღების უფლებაც აქვს საწარმოს. იმ პირობების მაგალითები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ფინანსური აქტივი შეიძლება გაუფასურებულია, შემდეგია:

- მევალის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან ვადაგადაცილება;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მოვალე ან მსესხებელი გაკოტრების პროცესში გადავლენ ან სხვა სახის ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდიან.

საანგარიშგებო თარიღით აღნიშნულის (ან სხვა პირობების, რომლებსაც საწარმოს ხელმძღვანელობა შესაფერისად მიიჩნევს) გამოვლენის შემთხვევაში საწარმომ უნდა შეაფასოს გაუფასურების ზარალი. თუ ასეთი არსებობს, გაუფასურების გამოსათვლელად საწარმომ უნდა განსაზღვროს ფინანსური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, ფინანსური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აქტივის გაყიდვის ან გამოყენების შედეგად. როგორც წესი, ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადი წამოიქმნება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას (მაგალითად, ფულადი სახსრების მიღება დებიტორებისგან, როდესაც გადახდის ვადა დადგება). ფულადი სახსრები წარმოიქმნება, ასევე, ფინანსური აქტივების გაყიდვით.

შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება უნდა შეუდარდეს ამ ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას იმავე თარიღით. იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ სხვაობა წარმოადგენს გაუფასურებას. გაუფასურება მოცემული პერიოდის ხარჯის სახით აღირიცხება შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

#### მაგალითი 14- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

31/10/20x1 თარიღისთვის A საწარმომ 15,000 ლარის ღირებულების საქონელი 30 დღეში გადახდის პირობით B საწარმოს მიჰყიდა, რაც A საწარმომ აღიარა ამონაგებად და შესაბამის სავაჭრო მოთხოვნად. (დაფარვის გადა 30/11/20x1).

თუმცა, 31/12/20x1 თარიღისთვის (ანგარიშგების თარიღი), B საწარმოს არ ჰქონდა გადახდილი არსებული მოთხოვნა - 15,000 ლარი (თანხის გადახდა 31 დღით არის ვადაგადაცილებული; B საწარმომ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადა). შედეგად A საწარმომ მიმართა შესაბამის სამართლებრივ მექანიზმს - აღსრულების ბიუროს დებიტორული დავალიანების ამონასაღებად. აღსრულების ორგანოს მეშვეობით მოხერხდა მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება. კერძოდ, აღსრულების ორგანოს მიერ გაცემულია ცნობა სააღსრულებო ფურცლის აღსრულებლად მიქცევის შედეგად კრედიტორის მიერ კუთვნილი თანხის ნაწილობრივ მიღების თაობაზე. აქედან გამომდინარე, A საწარმო მოელის მხოლოდ 10,000 ლარის მიღებას. ეს გახლავთ ამ ფინანსური აქტივის (სავაჭრო მოთხოვნის) საიმედო შეფასება. რადგან ეს თანხა ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, სხვაობა, 5,000 ლარი, წარმოადგენს გაუფასურების ზარალს 31/12/20x1 თარიღით, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

A საწარმომ 31/12/20x1 თარიღით შემდეგი ბუღალტრული გატარებები უნდა შეასრულოს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
გაუფასურების ხარჯი – ფინანსური აქტები	5,000	
სავაჭრო მოთხოვნები		5,000

B საწარმოსგან 31/12/20x1 წელს მისაღები სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ხარჯის აღიარება.

5.15 საწარმომ უნდა განახორციელოს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ ადრე გაუფასურებული ფინანსური აქტივის საიმედო შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება გაიზრდება ისეთი მოვლენის შედეგად, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ. აღდგენილი თანხა მაშინვე უნდა აღიარდეს შემოსავლის სახით შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

#### მაგალითი 15- ადრე გაუფასურებული (ჩამოწერილი) სავაჭრო მოთხოვნის აღდგენა

მონაცემები იგივეა, რაც მაგალითი 14. დამატებით ცნობილია, რომ მომდევნო საანგარიშგებო წელს, 30/03/20x2 თარიღიში B საწარმომ:

- A საწარმოს გადაუხადა 10,000 ლარი;

- წარმატებით განახორციელა საქმიანობის რესტრუქტურიზაცია და საოპერაციო საქმიანობის შედეგები გააუმჯობესა და
- აიღო ვალდებულება, რომ მოკლე ვადაში A საწარმოს გადაუხდის დარჩენილ არსებულ 5,000 ლარის ვალდებულებას.

რადგან A საწარმოს გააჩნია გონივრული მოლოდინი, რომ B საწარმოსგან მოკლე ვადაში მიიღებს გადაუხდელ 5,000 ლარს, შედეგად A საწარმომ 5,000 ლარი მაშინვე უნდა აღიაროს როგორც **სხვა შემოსავალი** საანგარიშებო პერიოდის ( $20 \times 2$  წლის) **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშებაში**.

A საწარმომ 30/03/20x2 თარიღისთვის უნდა შეასრულოს შემდეგი ბულალტრული გატარება:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სავაჭრო მოთხოვნები	5,000	
სხვა შემოსავალი - [წინა პერიოდის გაუფასურების გარალის აღდგენა]		5,000

**წინა პერიოდის გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა.**

როდესაც B საწარმო დაფარავს მის დავალიანებას, A საწარმომ უნდა შეასრულოს შემდეგი ბულალტრული გატარება:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
ფულადი სახსრები	5,000	
სავაჭრო მოთხოვნები		5,000

A საწარმოს სავაჭრო მოთხოვნის დასაფარად B საწარმოსგან ფულის მიღება.

#### **ფინანსური ვალდებულებების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემთხვევა**

5.16 საწარმომ თითოეული საანგარიშებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ვალდებულებები უნდა შეაფასოს თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული თვითღირებულებით, რომელსაც:

- (ა) ემატება ვალდებულების თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშებო თარიღამდე აღიარებული საპროცენტო ხარჯი;
- (ბ) აკლდება ვალდებულების თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშებო თარიღამდე გადახდილი ძირისა და პროცენტის თანხები.

იხილეთ თვითსწავლების მასალები პუნქტის 5.12(ბ) ქვემოთ.

5.17 საპროცენტო ხარჯი არის სხვაობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადასახდელ მთლიან თანხასა და ფინანსური ვალდებულების თავდაპირ-

ველად აღიარებულ თვითღირებულებას შორის. საწარმომ საპროცენტო ხარჯი ხელშეკრულების ვადაზე უნდა გაანაწილოს შემდეგნაირად:

- (ა) წრფივი მეთოდით ხელშეკრულების ვადის მიხედვით - ისეთი ოპერაციისთვის, რომელიც განხორციელდა შემდგომი გადახდის პირობით და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე (როგორც ეს აღწერილია 5.9 პუნქტში);

73

იხილეთ მე-11 მაგალითი პუნქტის 5.13 (ა) ქვემოთ მოცემულ თვითსწავლების მასალებში.

- (ბ) ყველა სხვა შემთხვევაში – ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით მუდმივი (უცვლელი) საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ამ მიზნისთვის შესაფერისი განაკვეთი, როგორც წესი, იქნება სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი.

იხილეთ მე-12 და მე-13 მაგალითები 5.13 (გ) პუნქტის ქვემოთ მოცემულ თვითსწავლების მასალებში.

#### ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

5.18 საწარმომ ფინანსური აქტივის (ან ფინანსური აქტივის ნაწილის) აღიარება უნდა შეწყვიტოს მაშინ, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გაუვა, ან ფულადი სახსრები უკვე მთლიანად მიღებული აქვს; ან

**აღიარების შეწყვეტა, როდესაც ფულად ნაკადებზე უფლება დაკმაყოფილებულია**

ფინანსური აქტივიდან ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების დაკმაყოფილების გამო აღიარების შეწყვეტა შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

აღიარების ნაწილობრივ შეწყვეტა მიუთითებს ფინანსური აქტივის მხოლოდ მთლიანი საბალანსო ღირებულების ნაწილის ამოღებაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან. როგორც წესი, აღიარების ნაწილობრივ შეწყვეტა შესაფერისია, როდესაც ფინანსური აქტივიდან ერთზე მეტი ფულადი ნაკადი წარმოიქმნება (მაგ. სესხი ყოველთვიური გადახდებით). თუმცა, ვალის ნაწილობრივი პატივებაც ფინანსური აქტივის აღიარების ნაწილობრივ შეწყვეტას იწვევს.

მეორე მხრივ, აღიარების სრული შეწყვეტა ნიშნავს, რომ ფინანსური აქტი-  
ვის სრული საბალანსო ღირებულება ამოიღება ფინანსური მდგომარეობის  
ანგარიშგებიდან. იხილეთ მე-12 და მე-13 მაგალითები პუნქტის 5.13 (გ) ქვე-  
მოთ მოცემულ თვითსწავლების მასალებში.

- მე-12 მაგალითში ნაჩვენებია აღიარების სრული შეწყვეტა დაფარვის  
კადის ამოწურვისას.
- მე-13 მაგალითში ნაჩვენებია აღიარების როგორც ნაწილობრივ, ისე  
სრული შეწყვეტა.

**აღიარების შეწყვეტა, როდესაც ფულადი სახსრების მიღების უფლებებს ვა-  
და გაუვა**

კიდევ ერთი სცენარია, როდესაც საწარმომ უნდა შეწყვიტოს ფინანსური აქ-  
ტივის აღიარება (ნაწილობრივ ან სრულად), როდესაც შესაბამისი უფლე-  
ბამოსილი ორგანოს მიერ დაწესებული შეზღუდვების ვადა ამოიწურება.  
თუმცა, საწარმომ შესაფერისი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა უნდა  
გაითვალისწინოს, რათა შეაფასოს ფინანსური აქტივისთვის (ან მისი ნაწი-  
ლისთვის) დადგენილი შეზღუდვების ვადა ამოწურულია თუ არა. ძალიან  
მარტივ პირობებში დადგენილი შეზღუდვები არის პერიოდი, რომლის გან-  
მავლობაში საწარმოს შეუძლია ვალის ამოღება იურიდიული ზომების მეშ-  
ვეობით (მაგალითად, პარტნიორის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა).

- (ბ) დააკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათ-  
ვალისწინებულ, ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის მოთ-  
ხოვნებს.
- 5.19 ფინანსური აქტივის (ან ფინანსური აქტივის ნაწილის) აღიარების შეწყვე-  
ტიდან წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი მაშინვე უნდა  
აღიარდეს, შემოსავლის ან ხარჯის, სახით შემოსავლების, ხარჯებისა და  
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.